

II თემა. საქართველო IV საუკუნიდან VII საუკუნის I ნახევრამდე

§1. ქართლის სამეფო IV-V საუკუნეებში

298 წლის ნიზიბინის ზავით რომმა გარკვეული უპირატესობა მოიპოვა სპარსეთზე, – განმტკიცდა მისი პოლიტიკური გავლენა ამიერკავკასიის ქვეყნებზე. საომარი მოქმედებების შეწყვეტა თავის სასარგებლოდ გამოიყენა სპარსეთმაც. მეტოქესთან მომავალი ბრძოლების საწარმოებლად და დაკარგული ტერიტორიების კვლავ შემოერთების მიზნით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რამაც განამტკიცა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და სამხედრო ძლიერება.



სპარსეთი ვერ ეგუებოდა მარცხს და ზავის ვადის ამოწურვამდე, 338 წელს, შაპმა შაბურ II-მ რომის წინააღმდეგ ომი განაახლა. ომი ორ ფრონტზე წარმოებდა, – შუამდინარეთსა და ამიერკავკასიაში, ხანმოკლე შესვენებებით და ოცდახუთ წელს გაგრძელდა.

მეომარი მხარეების წარმატება დამოკიდებული იყო ამიერკავკასიელი ხალხების მხარდაჭერაზე. მათი მიმხრობით, ჯარისა და ციხე-სიმაგრეების გამოყენებით, ძნელად გასავლელი ადგილების დაუფლებით და, აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ჯარის სურსათით მომარაგებით ისინი მეტოქესთან შედარებით სერიოზულ უპირატესობას მოიპოვებდნენ.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებს კი რომსა და სპარსეთს შორის დაპირისპირების საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პოზიცია ჰქონდათ. ალბანეთი, სპარსეთთან სიახლოვისა და მისი სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლის გამო, სპარსეთის მხარეს იბრძოდა. იბერიის სამეფოს კი, რომელიც რომის იმპერიას ფორმალურად ექვემდებარებოდა და მის სამხედრო მოკავშირედ ითვლებოდა, ნეიტრალური პოზიცია ეკავა.

კითხვები

1. შენი აზრით, რა განაპირობებდა ქართლის სამეფოს ნეიტრალურ პოზიციას?
2. რამდენად მომგებიანად თვლი არსებულ ვითარებაში ქართლის ნეიტრალიტეტს?

საბოლოო ჯამში, ომი სპარსეთის გამარჯვებით დასრულდა. იმპერატორი ივლიანე ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაიჭრა. 363 წელს დაიღო ახალი, 30 წლიანი ზავი. ზავის პირობები რომისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

წყარო 1

„ისინი ირანელებს უბრუნებდნენ ხუთ პროვინციას და უთმობდნენ ქალაქებს ნიზიბინსა და სინგარას. ამასთან პირობას დებდნენ, რომ არ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში და დახმარებას არ გაუწევდნენ თავის ყოფილ ქვეშევრდომსა და მოკავშირე სომხებს ირანელებთან ბრძოლაში. ზავის პირობებში იბერიაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ჩანს, მისი პოლიტიკური სტატუსი უცვლელად რჩებოდა“.

ლ. ჯანაშია.

კითხვები

1. როგორ ფიქრობ, იქონიებდა თუ არა გავლენას ზავის პირობები ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე?
2. შენი აზრით, როგორ ისარგებლებდა სპარსეთი ბიზანტიასთან მიღწეული შეთანხმებით?

სპარსეთმა ზავის პირობებით ისარგებლა და სომხეთში შეიჭრა. სომხეთი რომისაგან დახმარებას ვე-
ლარ მიიღებდა. ძლიერი მოკავშირის გარეშე დარჩენილი სომხეთის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ
ადგილობრივი წარჩინებულების („ნახარალები“) ნაწილი სპარსეთის წაქეზებით მეფე არშაკ II-ს განუდგა,
– „მან თავს უშველა მათგან კავკასიის მხარეში ქართველთა დახმარებით“.

წყარო 2

„არშაკი დაბრუნდა ქართლის ჯარით, შეაგროვა აგრეთვე მცირეოდენნი თავისი ერთგულნი და შეე-
ბრძოლა ნახარალებს თავისი ქალაქის არშაკავანის დანგრევისათვის შურის საძიებლად“.
მოვსეს ხორენაცი, სომეხი ისტორიკოსი.

სომხეთისათვის ბრძოლა სპარსეთის გამარჯვებით დასრულდა. ამას მოჰყვა ქართლზე სპარსელების
გამოლაშქრება.

წყარო 3

სპარსელებმა ქართლიდან გააძევეს მეფე საურმაგი, „რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბე-
რიას, და ამ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფარუგს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი გადაწ-
ვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა“
ამიანე მარცელინე, რომელი ისტორიკოსი.

დავალება 1

იმსჯელე იმ ფაქტორებზე, რომლებმაც სპარსეთს გაუადვილა ქართლის დაქვემდებარება და ტექსტისა და
წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით დააზუსტე მოვლენების თანმიმდევრობა.

რომსა და სპარსეთს შორის ამიერკავკასიაში პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლა ამით არ
დასრულებულა. მათი წარმატებები არამყარ იყო, რასაც, პირველ რიგში, თავისუფლებისათვის ად-
გილობრივი ხალხების თავდაუზოგავი ბრძოლა განაპირობებდა.

იბერიაში სპარსელთა მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რომაელთა მხარდაჭერით მეფე
საურმაგი ბრძოლას აახლებს მათ წინააღმდეგ. გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ამჟამად მოიპოვა
რომელიმე მხარემ. ზავის მიხედვით, ქართლის სამეფო ორად უნდა გაყოფილიყო, – ასფარუგის
სამკვიდრო კვლავ სპარსეთის უზენაესობას ცნობდა, საურმაგის ხელახალი გამეფებით კი ქართლის
ნაწილი რომაელთა გავლენის სფეროში ექცეოდა.

წყარო 4

„... (იმპერატორი) დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი (მტკვარი)
დადებულყო და სავრომაკს (საურმაგს) არმენიისა და ლაზების მოსაღვრე მხარე რგებოდა, ასფარუგს –
ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“
ამიანე მარცელინე.

დავალება 2

რუკის (სურ. 2.2.1.1.) და წყაროს 5-ის მიხედვით დაადგინე და ამოწერე ორ ნაწილად გაყოფილი ქართლის
სასაზღვრო პუნქტები და მეზობელი ქვეყნები.

V საუკუნის დასაწყისში სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლები კვლავ განახლდა. ქართ-
ლის სამეფოს გაძლიერებას სხვა მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა. ეს იყო აღმოსავლეთ რომის იმპერია,
რომელიც ბიზანტიის სახელითაა ცნობილი.

წყარო 5

მეფე მირდატი „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქარ-
თლისასა, ზოლო სპარსეთს არა მისცემდა ხარკსა“.
„ქართლის ცხოვრება“.

წყარო 6

„პოლიტიკურად ქართული ქვეყნები წარმოადგენდნენ შემდეგ სურათს: აღმოსავლეთ საქართველო და
სამხრეთ საქართველოს ნაწილი ვიდრე კლარჯეთამდის შეადგენდნენ ქართლის სამეფოს, რომელიც სპარ-
სეთის მონარქიის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და უშუალოდ ემორჩილებოდა სპარსეთის ჩრდილოეთი
პროვინციების დიდ მარზპანს ანუ მმართველს... კლარჯეთი და მისი მიმდებარე ქვეყნები ჭოროხის ხეობაში
აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდა. აღმ. რომის იმპერიის
ასევე უშუალო მმართველობაში იმყოფებოდა მეგრული (ჭანური და სხვ.) ქვეყნები...“

ს. კაკაბაძე.

წყარო 7

„... ბიზანტია მიტაცებულ ქართულ მიწებს სწრაფად რთავდა იმპერიის სისხლსავსე ცხოვრებაში და სწრაფადვე კულტურულად „აბერძნებდა“ ქართველ მოსახლეობას. თუკი ქართველებს სპარსელთა წინააღმდეგ ფარად ჰქონდათ ქრისტიანული სარწმუნოება, ბერძნული ასიმილაციისგან ქართველებს არაფერი არ იფარავდა. მიუხედავად ამისა, რადგანაც საქართველოს დიდი უმთავრესი ნაწილი სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მთავარი საფრთხე მაინც სპარსეთისგან მოდიოდა“.

ა. ჯაფარიძე.

დავალება 3

1. წყაროების 5-ის, 6-ისა და 7-ის მიხედვით იმსჯელე ბიზანტიისა და სპარსეთის პოლიტიკურ ინტერესებზე ქართლის სამეფოს მიმართ.
2. იმსჯელე, თუ როგორ აისახა ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობები ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

სპარსეთი ქართლზე თავისი გავლენის განმტკიცებას რელიგიური ნიშნითაც ცდილობდა. ქრისტიანობას საქართველოსთვის, სარწმუნოებრივთან ერთად, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. გაქრისტიანებით ქართლის სამეფოს კავშირი რომის, შემდეგში ბიზანტიის, იმპერიასთან კიდევ უფრო მტკიცდებოდა, რაც სპარსეთის პოლიტიკური და კულტურული (რელიგიურთან ერთად) გავლენის შესუსტებასაც მოასწავებდა. ამიერკავკასიის ქვეყნებზე ბატონობის გასამყარებლად სპარსეთი ცდილობდა მათში მაზდეანობის გავრცელებას.

წყარო 8

„სპარსეთის გავლენასა და ბატონობას სომხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა უშლიდა ხელს... ამის გამო სპარსეთის მთავრობა სულ იმის საგონებელში იყო, რომ ქართველთა, სომეხთა და ალბანელთათვის სარწმუნოება შეეცვალა. წინათ, როცა ამ სამთავე ხალხში ცეცხლთაყვანისმცემლობა გავრცელებული იყო, სპარსეთთან მათ სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდათ და ახლაც სპარსეთის შაჰინ-შაჰი და მთავრობა მოწადინებული იყო, რომ კავკასიაში როგორმე მაზდეანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გაეხადა“.

ივ. ჯავახიშვილი.

წყარო 12

„ამ მიზნის მისაღწევად ირანელებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნების იზოლაცია არაირანული სამყაროსაგან, მათი კულტურის მოსპობა და მოსახლეობის სრული ასიმილაცია. ირანელებს კარგად ჰქონდათ მოფიქრებული სამოქმედო გეგმა, რომელსაც დიდი თანამიმდევრობითა და შეუპოვრობით ახორციელებდნენ... თავდაპირველად შემოიღეს მეტად სამძიმო სამხედრო ბეგარა, რომელსაც მოჰყვა ახალი საგადასახადო სისტემა. შემდეგ ირანელები აპირებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ყოველგვარი შინაგანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას და ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით შეცვლას...“



სურ. 2.2.1.2. ამიერკავკასიის სახელმწიფოები (ალბანეთი).

... უნდა დაეხურათ ეკლესიები... გაერეკათ მთელი ქრისტიანული სამღვდელეობა და სამუდამოდ აღმოფხვრათ ქრისტიანობა ამიერკავკასიაში. მოგვებს უნდა გაეხსნათ სკოლები და მაზდეანობა ესწავლებინათ არა მარტო დიდებულთა არამედ უბრალო მდაბიურთათვისაც. უნდა გავრცელებინათ, აგრეთვე, ირანული წეს-ჩვეულებანიც, მაგალითად, ქორწინების, დასაფლავებისა და სხვ.

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რაოდენ მასშტაბურად ტარდებოდა ეს ღონისძიება, საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ სომხებს შვიდასზე მეტი მოგვი მიჰყვებოდა“.

ლ. ჯანაშია.

დავალება 4

1. წყარო 8-ისა და 9-ის მიხედვით დაახასიათე სპარსეთის რელიგიური და კულტურული პოლიტიკა ამიერკავკასიის ხალხების მიმართ.
2. იმსჯელე სპარსეთის რელიგიურ-კულტურული ექსპანსიის მოსალოდნელ შედეგებზე ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის.

დასახული მიზნის მისაღწევად სპარსეთი კარგად იყენებდა ქვეყნებს შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს – დაპირისპირებას მეფის ხელისუფლებასა და მსხვილ მიწათმფლობელთა ნაწილს შორის. მეფე საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისთვის იბრძოდა და ამ ამოცანის განხორციელებას გაძლიერებული მთავრების ძალაუფლების შეკვეცით, მათი დამორჩილებით ცდილობდა. წარჩინებულთა ნაწილი კი საკუთარი პრივილეგიებისა და შეუზღუდველი ძალაუფლების შენარჩუნებას ესწრაფოდა და მეფის ხელისუფლების დასუსტებით დაინტერესებულ სპარსეთს ზოგჯერ მოკავშირეობასაც უწევდა. წარჩინებულთა უმრავლესობა მხოლოდ პირადი ინტერესებით როდი მოქმედებდა, – მათ კარგად ესმოდათ ქვეყნის ერთიანობის მნიშვნელობა თავისუფლებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ამიტომ მათი უმრავლესობა ბოლომდე ერთგულებდა საკუთარ სამშობლოს და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

წყარო 10

„როცა ზოგი აზნაური გამდიდრდა და გაძლიერდა, მას უკვე მეფის მორჩილება აღარ სურდა. გარდა ამისა, აზნაურებს მეფისაგან მამულები ჰქონდათ მიღებული სამსახურის პირობით. მეფე ამ მამულებს თავის საკუთრებად თვლიდა. აზნაურებს კი მათი დათმობა ენანებოდათ და საბოლოოდ მიჩემბა სურდათ. გაჩაღდა ბრძოლა მეფესა და დიდ აზნაურ-მთავრებს შორის. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, მეფის უკმაყოფილო აზნაურებთან კავშირი გააბეს და ისინი თავის მხარეზე გადაიბირეს“.

ს. ჯანაშია.

ქართველ წარჩინებულთა ამ ნაწილისგან სპარსეთის „ერთგულება“ ისეთივე დროებითი მოვლენა იყო, როგორც მათი ბატონობა საქართველოზე.

წყარო 11

„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი... და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა... იყვნენ ერისთავნი იგი თუის-თუისსა საერისთაოსა შეუცვლელად“.

„ქართლის ცხოვრება“.

დავალება 5

1. წყარო 10-ისა და 11-ის მიხედვით დაახასიათე სპარსეთის სოციალური პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ.
2. იმსჯელე, რა სოციალური ფაქტორი შეუწყობდა ხელს ქართლში სპარსეთის პოლიტიკური ინტერესების გატარებას.

ადგილობრივი დიდაზნაურების მიმხრობით სპარსეთმა 428 წელს შეძლო სომხეთში მეფობის გაუქმება, რაც, ფაქტიურად, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავდა. 463 წელს იგივე ბედი გაიზიარა ალბანეთის სამეფომაც.

ამიერკავკასიელი ხალხებისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო სპარსეთის მიერ დაკისრებული სამხედრო ბეგარა – შაჰის მოთხოვნით მრავალრიცხოვანი ჯარის გამოყვანა შორეული ლაშქრობებისათვის. ასეთი პოლიტიკით სპარსეთი ზრდიდა საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს და სხვა ქვეყნების დაპყრობით იფართოებდა სამფლობელოს, ამავე დროს ასუსტებდა მისდამი დაქვემდებარებული ქვეყნების თავდაცვისუნარიანობას.

დაკისრებული ხარკის სიდიდე კი მოსახლეობის ეკონომიკურ გაღატაკებას იწვევდა.

წყარო 12

„თვითონაც დიდად უკვირდათ საიდან მოდის მთელი ეს განძი, ან როგორ არის კიდევ ეს ქვეყანა შენებულიო“

ელიშე, V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი.

დამოუკიდებელი სამუშაო

შეაჯამე, რა შედეგები გამოიღო სპარსეთის მმართველობამ ქართლის სამეფოში და ზოგადად ამიერკავკასიის ქვეყნებში.

განმარტებები

ნეიტრალური – ისეთი (ქვეყანა, ტერიტორია), სადაც საერთაშორისო შეთანხმებით არ შეიძლება ომის წარმოება, სამხედრო ძალების განლაგება; ვინც არ ემხრობა არც ერთ მხარეს ბრძოლაში.

ბერძენთა – აქ, იგივეა რაც ბიზანტიელთა.

§2. ვახტანგ გორგასლის მეფობა

ვახტანგ გორგასლის გამეფების თარიღი დღემდე დაუზუსტებელია. ქართული საისტორიო წყაროები „მოქცევაი ქართლისაი“ და, განსაკუთრებით, ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, მართალია, ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახტანგის მეფობისა და იმ დროის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ქართველ ისტორიკოსთა აზრით, მათში გადმოცემული ამბები ზოგჯერ ისტორიულ სინამდვილესთან შეუსაბამოა, რიგ შემთხვევებში კი, ვახტანგის მეფობის ზღაპრულ აღწერილობას გვთავაზობენ.

ისტორიკოსთა უმრავლესობა ვახტანგის გამეფების სავარაუდო თარიღად V საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ასახელებს. გაზიარებულია ის აზრიც, რომ გამეფებისას ვახტანგი მცირეწლოვანი იყო – წყაროების მიხედვით შვიდი წლის.

კითხვა

1. შენი აზრით, რით შეიძლება აიხსნას ისტორიკოსთა მიერ ცნობების გაზვიადება?

ეს საინტერესოა:

მეფის მცირეწლოვანობის დროს სახელმწიფოს ვახტანგის დედა – საგლუხტი განაგებდა. ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ის წარმოშობით სპარსელი, სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინციების დიდი მარზპანის შვილი იყო. დიდ მარზპანს ემორჩილებოდა ქართლის სამეფოც და, როგორც ჩანს, თავის დროზე საგლუხტისა და ქართლის მეფის მირდატის ქორწინებას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. წყაროების მიხედვით, საგლუხტი ქართლის ღირსეული დედოფალია. მან ქართული ენა და წეს-ჩვეულებები სწრაფად შეისწავლა და ქრისტიანობაც აღიარა. დიდა მისი დამსახურება ქართლში სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების საქმეში. საგლუხტი მეფე მირდატის გარდაცვალებისთანავე ეახლა მამას – დიდ მარზპანს, შეავლრა მცირეწლოვანი ვახტანგი და გამოითხოვა მისი გამეფების ნებართვა.



სურ. 2.2.2.1. ვახტანგ გორგასალი.

როგორც ვიცით, V საუკუნის შუა წლებში ქართლის სამეფო სპარსეთის ექსპანსიის რეალური საშიშროების წინაშე იდგა. სამეფო კარი იბულებული იყო თავი სპარსეთის ქვეშევრდომად გამოეცხადებინა, ეძლია მისთვის ხარკი და, საჭიროების შემთხვევაში, მას სამხედრო ძალითაც დახმარებოდა.

არც ქვეყნის შიგნით იყო სახარბიელო მდგომარეობა. სპარსეთი მეფის მოწინააღმდეგე წარჩინებულების გადაბირებას ცდილობდა და სანაცვლოდ მათ ხალხეუხებლობასა და დიდ წყალობას ჰპირდებოდა. მოხერხებული დიპლომატიით აღწევდა კიდევ საწადელს და რომელიმე მსხვილ ხელისუფალს მაინც აუმხედრებდა ხოლმე მეფეს.



სურ. 2.2.2.2. შუშანიკი.

სპარსეთის მხარდაჭერით განდიდებული ასეთი ხელისუფალია ქვემო ქართლის პიტიანში ვარსქენი, რომელიც შაჰის ნდობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად უარყოფს ქრისტიანობას და გამაზღვანებული, სპარსეთის დახმარებით დაიმედებული, აშკარად უპირისპირდება მეფეს.

წყარო 1

„... ვარსქენისა და შუშანიკის დამოკიდებულება შორს გასცდა ოჯახური დრამის ფარგლებს და დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო. მიუხედავად ამისა, ვარსქენი არავის არ ერიდება: სცემს თავის ძმას ჯოჯიკს, რომელიც გამოეჭომაგა შუშანიკს, ჯოხს დაარტყამს ერთ ხუცესს; თვით უმაღლესი სამღვდლოებაც კი ერიდება პიტიანშის რისხვას...“

ამრიგად, ვარსქენის რისხვისაგან შუშანიკი ვერ დაუფარავს ვერც ქართულ ეკლესიას, ვერც ქართლის აზნაურობას და, მით უმეტეს, ვერც ხალხს – „წვრილ ერს“.

... დამახასიათებელია, რომ „შუშანიკის წამებაში“ ერთხელაც არ იხსენიება ქართლის მეფე. თვით თარიღის აღნიშვნის დროსაც ირანის მეფეა მოხსენიებული...“

ლ. ჯანაშია.

იგივე ითქმის ბოლნისის სიონის წარწერის (V ს. 90-იანი წლები) შესახებაც. საპიტიახშოს ტერიტორიაზე ამ ტაძრის აგება დათარიღებულია სპარსეთის შაჰის, პეროზის, ზეობის წლების მიხედვით.



სურ. 2.2.2.3. ბოლნისის სიონი.

დავლება 1

1. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ „შუშანიკის წამებასა“ და ბოლნისის სიონის წარწერაში არაა მოხსენიებული ვახტანგ გორგასალი, ხოლო მოვლენები კი დათარიღებულია სპარსეთის შაჰის ზეობის წლებით.
2. განსაზღვრე და შეაფასე ვარსკენ პიტიახშის როლი სპარსეთისა და ქართლის დაპირისპირებაში.
3. იმსჯელე იმ შედეგებზე, რაც სპარსეთის სოციალურმა პოლიტიკამ გამოიღო.

ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა მხოლოდ ხალხის ერთიანობისა და სახელმწიფოს სიმტკიცის პირობებში გამოიღებდა სასურველ შედეგს. ამიტომაც მეფემ უპირველეს მიზნად შიდა წინააღმდეგობების დაძლევა დაისახა.

წყარო 2

„გორგასლის ეპოქის თანადროული ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე... ლეონტი მროველის მოწმობა შეესაბამება სინამდვილეს... რომ ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო V საუკუნის 60-70-იან წლებში...“.
დ. მუსხელიშვილი.

ვახტანგ გორგასალს არა მხოლოდ საერო პირები უპირისპირდებოდნენ, არამედ მაღალი სამღვდელეობის წარმომადგენლებიც. მათ ხელმძღვანელობდა მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

წყარო 3

„... მთავარ ეპისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხვია (აუკრა) ფერხი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოელ მონაზონი, წმინდაი და ღირსი. და აღაშენა ქვემოი ეკლესიაი ვახტანგ მეფემან. და დასუა პეტრე კათალიკოზი“.
„მოქცევაი ქართლისაი“.

მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი ინციდენტის მიზეზებს ისტორიკოსები არაერთგვაროვნად ხსნიან. ერთიანი აზრის არარსებობა წყაროთა ცნობების სიმწირითაცაა განპირობებული.

წყარო 4

„ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს ვხედავთ. ამ ეპისკოპოსებს ანლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს. ეკლესიას V საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელეობას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის იყო. ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელეობა. თანდათან ქართლის მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსეთის მხარეს გადავიდა ისევე, როგორც მეზობელ სომხეთში. სამაგიეროდ სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ. ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა სპარსეთთან ხელიხელ ჩაკიდებით ქართლის მეფის წინააღმდეგ“.

ს. ჯანაშია.

წყარო 5

„ის გარემოება, რომ დაკრულვა და ეკლესიიდან გაძევება (მიქაელისაგან) მეფის გარდა სპასაც ეწია... იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ უთანხმოება მაშინ მარტო მეფის მოქმედების გამო კი არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი, არამედ სპას, ე. ი. მაღალ სამხედრო წრეს და რაინდობასაც ედებოდა ბრალი. მაშასადამე, ვახტანგ გორგასლის გეგმა და მოქმედება მარტო მისი პირადი განზრახვა არ უნდა ყოფილიყო, არამედ, ამ მოწინავე სამხედრო წრისაც.“

ამგვარად ირკვევა, კათალიკოსობის დაწესებასა და ახალ ეპისკოპოსთა დანიშვნასთან დაკავშირებულ უთანხმოებაში ორ მოპირდაპირე ბანაკთან უნდა გვქონდეს საქმე. ერთი მხრივ ყოფილა ვახტანგი, „სპა“ და პეტრე და სამუელ ეპისკოპოსები დანარჩენი 12 საეპისკოპოზო პირითურთ, მეორე მხრით, მიქაელ მთავარეპისკოპოზი თავისი თანამოაზრეებითურთ“.

ივ. ჯავახიშვილი.

დავალება 2

1. წყარო 4-ისა და 5-ის საფუძველზე განსაზღვრე და ჩამოაყალიბე ის სავარაუდო მიზეზები, რომელთაც მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის დაპირისპირების გამოწვევა შეეძლო.
2. შენი აზრით, რა საშიშროებას ქმნიდა სახელმწიფოსათვის სამეფო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის დაპირისპირება?

მთავარეპისკოპოს მიქაელის წინააღმდეგობის დაძლევის ვახტანგის მიერ ქართლში კათალიკოსობის დაწესება მოჰყვა.

წყარო 6

„კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. პირველ ყოვლისა, ეკლესიის თვითმწყობა, ცხადია, აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღვდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. დაბოლოს, ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი (მიქაელი), რომელიც, ეტყობა, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა“.

ლ. ჯანაშია.

წყარო 7

„შემთხვევითი არ იყო ქართლში სწორად 12 საეპისკოპოსოს დაარსება: ამიერიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება (საეკლესიო სამართლით საეკლესიო კრება 12 ეპისკოპოსისაგან უნდა შემდგარიყო), რომელიც უფლებამოსილი იყო თავისი შინაგანი საქმეები – ეპისკოპოსთა ხელდასხმა – გადაყენება – თვითვე განეგო... ეს გარემოება ადასტურებს ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მიღებას“.

ნ. ლომოური.

კითხვები

1. შენი აზრით, რატომ შედეგებოდა საეკლესიო კრება 12 ეპისკოპოსისგან?
2. წყარო 7-ის მიხედვით რა უფლებები ჰქონდა საეკლესიო კრებას?
3. როგორ გესმის ეკლესიის „თვითმწყობის“, დამოუკიდებლობის მნიშვნელობა?
4. შენი აზრით, შეუწყობდა თუ არა ხელს ვახტანგის საეკლესიო ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას?

ეს საინტერესოა:

„ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით „ეკლესიით“ აღნიშნავდნენ. შემდეგში ქართულად ეკლესია დაერქვა იმ შენობასაც, სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის. რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გადაიქცა, ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიღო, როგორც ჰქონდა ქართლის სამეფოს... ცალკე საერისთავოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის ანუ მცხეთის მთავარეპისკოპოსს (საეკლესიო რეფორმის შემდეგ უმაღლესი სამღვდლო პირი გახდა კათალიკოსი). ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ ხუცები ანუ მღვდლები...“.

ს.ჯანაშია.

ბიზანტიის იმპერიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა არქიეპისკოპოსი ლოლი:

„მსოფლიო საეკლესიო კრება იმპერატორისა და სახელმწიფოს კრებაა, მას ამა თუ იმ ოლქის მიტროპოლიტი კი არ იწვევს, არამედ იმპერატორი. კრებას ესწრებიან არა თავიანთ სამიტროპოლიტოებში არჩეული ეპისკოპოსები, არამედ იმპერატორის ხელისუფლების შეხედულებისამებრ დანიშნულნი და გამოძახებულნი, რის გამოც ყველა ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსის დასწრება არ იყო სავალდებულო. კრების ყველა განსაზღვრება (აქტი), კანონი და სარწმუნოების დოგმატი ძალაში შედიოდა, ავტორიტეტსა და ქმედითობას იძენდა იმპერატორის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ. ამიტომ საეკლესიო კრების დადგენილებათა მოწინააღმდეგე განიხილებოდა იმპერატორის განკარგულების მოწინააღმდეგედ და ამის შესაბამისად, სახელმწიფო კანონების თანახმად ისჯებოდა“.

დავალება 3

1. შექმენი საეკლესიო თანამდებობათა იერარქიული კიბე ან სქემა.
2. იმსჯელე ბიზანტიაში საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთმიმართების შესახებ.

დამოუკიდებელი სამუშაო

შეაფასე ვახტანგ გორგასლის მიერ განხორციელებული რეფორმის საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა

სამეფო ხელისუფლების განტკიცებისა და ზოგადად ქვეყნის გაძლიერებისკენ იყო მიმართული ის მასშტაბური აღმშენებლობითი საქმიანობა, რასაც სამეფო კარი აწარმოებდა.



სურ. 2.2.2.6. ნარიყალას ციხე.

წყარო 8

„ალაშენა ნაშენებითა უზომოთა... ამგვრება ციხეთა და ქალაქთა და ჰკაზმიდა მხედართა და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა...“.
„ქართლის ცხოვრება“.

სპარსეთის წინააღმდეგ დაგეგმილ ომში წარმატების მიღწევა მხოლოდ ქართლის სამეფოს ძალებით ძნელი იქნებოდა. მეზობელ სახელმწიფოებში – სომხეთსა და ალბანეთში, როგორც იცით, სპარსეთმა მეფობა გააუქმა და ეს ქვეყნები უშუალოდ დაიქვემდებარა. ამ ვითარებაში რთული იყო ერთიანი ფრონტის შექმნა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანება.

ვანსტანგ გორგასალმა, პირველ რიგში, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან – ოსებთან, ყივჩაღებთან და ჰუნებთან განამტკიცა სამხედრო კავშირი. ასეთ მოკავშირეობას უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა და, ბუნებრივია, ახლაც, სპარსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლების დაწყების წინ, ჩრდილოკავკასიელთა მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

წყარო 9

„... შექმნა კარი ოვსეთისანი და ალაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა კარად მას დარიალისა, და აწ თვინიერ მეფისა ვერ ხელეწიფების გადმოსვლად“.

„წმინდა ნინოს ცხოვრება“.

აჯანყების დაწყებას უშუალოდ უკავშირდებოდა ქართლში სპარსეთის მოკავშირე ძალების წინააღმდეგ გადაწყვეტი იერიშის მიტანა. სპარსეთის ორიენტაციის მომხრეთა ერთ-ერთი აღიარებული მეთაური ვარსქენ ჰიტიახში იყო. მეფემ 482 წელს ვარსქენი მოაკვლევინა, რაც ეროვნული ძალების დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

კარგად იქნა შერჩეული აჯანყების დაწყების დროც. სპარსეთს გართულებული ჰქონდა მდგომარეობა შუა აზიაში, აჯანყებისთვის ემზადებოდნენ სომხებიცა და ალბანელებიც. მეზობელ ხალხებში ირანისადმი მტრული განწყობა, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან დამყარებული კავშირი, კარგ საფუძველს იძლეოდა დამპყრობლის წინააღმდეგ საერთო კავკასიური ბრძოლის დაწყებისათვის.



სურ. 2.2.2.7. ვაჰან მამიკონიანი.

აჯანყება წარმატებით დაიწყო, – მოხერხდა ქართლიდან ირანელების განდევნა. მაგრამ აჯანყებულთა მდგომარეობა მაინც არ იყო სასურველი. ჰუნების მიერ შეპირებული მრავალრიცხოვანი ჯარის მაგიერ ვანსტანგს სამას კაციანი რაზმი ეწვია. ერთიანობა არც სომეხთა შორის იყო. აქაურ წარჩინებულთა ნაწილი სპარსული მმართველობის სამსახურში იღვა. პატრიოტთა ბანაკი კი, ცნობილი სარდლის ვაჰან მამიკონიანის (შუმანიკის მამის) მეთაურობით, მართალია, აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ მცირერიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლას ვერცხდებოდა და მთის ვიწროვებში იყო გამაგრებული.

წყარო 10

„იცოდა (ვაჰან მამიკონიანმა) სომეხთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა, დაუძღურებულყო და სრულებითაც არა ჰკავდა სხვა დროის გულმოდგინებასა და მონღომებას“.
ლაზარ ფარჰეცი, სომეხი ისტორიკოსი.

გაერთიანებული ქართულ-სომხური ჯარი, ვანსტანგისა და ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით, სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა სპარსეთის ლაშქარს, მაგრამ მისი დამარცხება და დაწყებული ბრძოლის გამარჯვებამდე მიყვანა მაინც ვერ შეძლო.

დავლება 4

1. იმსჯელე ვანსტანგ გორგასლის კავკასიური პოლიტიკის შესახებ.
2. შეაფასე ერთიანი სამხედრო ფრონტის მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

484 წელს სპარსეთმა ამიერკავკასიაში მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა. ვახტანგი ეგრისში გაიხიზნა და ახალი ლაშქრობისათვის მზადებას შეუდგა. არც სპარსელების მდგომარეობა იყო სახარბიელო. ირანის შაჰი პეროზი, მოწინავე ჯართან ერთად აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს დაიღუპა. ირანელთა ის ჯარი კი, რომელიც საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდა, უკან იქნა გაწვეული.

წყარო 11

„ირანელები უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამან აიძულა ისინი მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ... აჯანყებული სომხეთის მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანობის დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები და მნიშვნელოვანი საქმეები თვითონ შაჰს გაერჩია. ირანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ ადანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან აჯანყება თვით პეროზის ძალმომრეობამ გამოიწვიაო... 485 წელს, აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს. ირანელები ალბანელების წინაშეც წასულან დათმობაზე. კერძოდ, იქ მათ მეფობა აღუდგენიათ...“

უეჭველია, აჯანყებას დადებითი შედეგები ქართლისთვისაც უნდა მოეტანა. ამდენად, თუმცა ვახტანგმა ვერ შესძლო საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქართლი ირანული უღლისაგან, მაგრამ მისმა აჯანყებამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს. სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია იმის ჩვენება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს“.

ლ. ჯანაშია.

კითხვები

1. შენი აზრით, რა დადებითი შედეგი შეიძლება მოეტანა ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ქართლის სამეფოსათვის?
2. წყარო 11-ის მიხედვით, რით დასტურდება, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ქართლი მაინც ირანის შაჰის გავლენის ქვეშ რჩებოდა?

გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ვახტანგს არ შეუწყვეტია ქვეყნის სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა. ვახტანგის მემკვიდრის ცნობით, მეფე ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრილა, რაც მისი სიკვდილის მიზეზიც გამხდარა.



სურ. 2.2.2.5. უჯარმის ციხე.

წყარო 12

„სპარსმა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა... დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწვეულ იყო ისარი ფირტუად (ფილტვი). და წარვიდა უჯარმოს“.

„და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუნიერეს სახითა და ძლიერ ძალითა, რომელ ჭურვილი (აღჭურვილი) ქვეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭიროს, და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“.

„ქართლის ცხოვრება“.

დავალება 5

1. ყურადღებით გაეცანი წყარო 13-ს. შენი აზრით, ტექსტის რომელი ნაწილი ადასტურებს ისტორიკოსების ვარაუდს ჯუანშერის თხზულების გაზვიადებულობის შესახებ?
2. გაიხსენე, რას ნიშნავს ქართულად ვახტანგ მეფის მეტსახელი – „გორგასალი“.
3. გაიხსენე ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ.

დამოუკიდებელი სამუშაო

დაწერე ესე ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ. აირჩიე შენთვის სასურველი თემა:

1. “ვახტანგ გორგასლის პიროვნება”.
2. “ვახტანგ გორგასალი – პოლიტიკოსი”.
3. “ვახტანგ გორგასალი – რეფორმატორი”.

განმარტებები

ექსპანსია – აქ, იგივეა რაც დაპყრობა.

კონტრიბუცია – ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს საზავო ხელშეკრულების ძალით.

ლოგმატი – იგივე ლოგმა.

ლოგმა – დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად.

§ 3. საეკლესიო განხეთქილება

V-VI საუკუნეებში ქრისტიანული სამყარო დიდმა საეკლესიო განხეთქილებამ მოიცვა. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმართულება – დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა. ქრისტიანული მოძღვრების ამ ორი კონფესიის წარმომადგენლები ღმერთის ბუნებას განსხვავებულად ხსნიდნენ: დიოფიზიტები ქრისტეში ღვთაებრივთან ერთად ადამიანურ საწყისსაც ხედავდნენ, მონოფიზიტები კი აქცენტს მხოლოდ მის ღვთიურ ბუნებაზე აკეთებდნენ. ერთი შეხედვით ღვთა საღვთისმეტყველო საკითხებს ეხებოდა და მას პოლიტიკური და ეროვნული დაპირისპირების ხასიათი თითქოს არც კი ჰქონდა, მაგრამ, სინამდვილეში, ამ მიმდინარეობების წარმომადგენელთა შორის ხანგრძლივმა და მწვავე კონფლიქტმა სხვადასხვა სფერო მოიცვა.

რელიგიური დაპირისპირება გასცდა ქრისტიანული სამყაროს ფარგლებს და მასში ცეცხლ-თაყვანისმცემელი სპარსეთიც აქტიურად ჩაერთო. ბიზანტიის იმპერიაში ოფიციალურად აღიარებული იყო დიოფიზიტური ეკლესია, მონოფიზიტობა კი იღვევებოდა. ამდენად, ბიზანტიის პოლიტიკური და, მასთან ერთად, რელიგიური მოკავშირეობა უკვე არა ზოგადად ქრისტიანობის, არამედ უშუალოდ დიოფიზიტური მრწამსის აღიარებით მტკიცდებოდა. და პირიქით, იმპერიაში აკრძალული და ღვენილი მონოფიზიტობის მიღება კონსტანტინოპოლთან პოლიტიკურ დაპირისპირებას ნიშნავდა.

ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული სპარსეთის მმართველებს. მათი უპირველესი ამოცანა ქრისტიან მოსახლეობაში მანდიანობის გავრცელება იყო, რაც ამ ხალხების ირანულ სამყაროსთან დაახლოებისა და შემდეგში მასთან შერწყმის საწინდარი უნდა გამხდარიყო. მაგრამ იქ, სადაც მანდიანობის გავრცელება შეუძლებელი ხდებოდა, სპარსელი პოლიტიკოსები ქრისტიანობის იმ მიმართულებას უჭერდნენ მხარს, რომელიც ბიზანტიაში იღვევებოდა.

დავლება 1

1. იმსჯელე რელიგიური განხეთქილების მიზეზებზე.
2. იმსჯელე იმ ფაქტორებზე, რამაც საეკლესიო განხეთქილება გაამწვა და მას პოლიტიკური ელფერი შესძინა.

წყარო 1

„არ იქნებოდა სწორი, თუ წარმოვიდგენდით, რომ სპარსეთი ქრისტიანობის ყოველ მიმართულებას ებრძოდა. სპარსეთი მხოლოდ იმ მიმართულებას, იმ ფრთას ებრძოდა, რომელიც იმ მომენტში რომის (ბიზანტიის) იმპერიაში იყო აღიარებული. თვითონ სპარსეთში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა და სპარსელების არცთუ მცირე ნაწილი ქრისტიანი იყო, მათ ჰქონდათ თავიანთი ეკლესია და თავიანთი საეკლესიო იერარქია, ხოლო სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხები, მაგალითად, სირიელები და სომხები ქრისტიანები იყვნენ, რომელთა ეკლესიებიც სპარსეთისათვის მისაღები იყო“.

ა. ჯაფარიძე.

წყარო 2

„მის შემდეგ, რაც დაეცა სომეხ მეფეთა ტახტი (428 წ.), სომხეთში სპარსთა ხელისუფლებამ ფეხი მტკიცედ მოიკიდა, ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებული ირანის შაჰის კარი იმ ხანებში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ (სირიაში გავრცელებული იყო მონოფიზიტობა). სირიულ კულტურას სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფეხები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები“.

მოსე ხორენელი, სომეხი ისტორიკოსი.

დავლება 2

1. წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით დაახასიათე სპარსეთის რელიგიური პოლიტიკა.
2. შესწავლილი მასალის საფუძველზე იმსჯელე რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის შესახებ.

სპარსეთის რელიგიური პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს სომხეთში ღებულობს. სომხეთის ირანელი მმართველები ყოველი გზით ცდილობდნენ ადგილობრივი ეკლესიის ჩამოცილებას ბიზანტიისგან.

წყარო 3

„(სპარსი მმართველი) რა წიგნსაც კი წააწყდებოდა, იგი წვადა, ბრძანა, რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა, არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად ანდა ეთარგმნა ამ ენიდან. ამას თითქოს იმიტომ შერებოდა, რომ სომხებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ანბანი და ბერძნულად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას“.

მოსე ხორენელი.

ბიზანტიის ხელისუფლება და საეკლესიო პირები ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას. ამ მიზნით მათ სცნეს სომხეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა, რათა როგორმე შეერბილებინათ მისალოდნელი დაპირისპირება და რამდენადმე მაინც შეენარჩუნებინათ საკუთარი გავლენა სომხურ ეკლესიაზე. რიგ შემთხვევებში კი, მღვდმარეობის გამოსასწორებლად სომხეთში ცნობილ დიოფიზიტ ღვთისმეტყველებს აგზავნიდნენ, რათა მათ ექადაგათ ხალხისათვის ბერძნული ქრისტიანობის უპირატესობა.

კითხვა

1. შენი აზრით, რა გავლენას იქონიებდა სპარსეთის რელიგიური პოლიტიკა სომხეთ-ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე?
2. რა საშუალებებით ცდილობდა ბიზანტია სომხეთის ეკლესიაზე გავლენის შენარჩუნებას?

რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, მას მაინცდამაინც არ განუცდია სპარსეთის რელიგიური პოლიტიკის გავლენა. მართალია, ქართლშიც ჩამოყალიბდა მონოთეისტური თემები, მაგრამ ამ პროცესს მასშტაბური ხასიათი არ მიუღია. ქართველი ხალხის პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „წმინდა რაჟდენის ცხოვრება“.

წყარო 6

„აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა... რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტრობა ქრისტიანეთ ზედა და უფროისად ბერძენთა მიმართ, ზოლო ჩუენ ქართველთ მიმართ ამისათვის, რამეთუ ეძნელებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა ჩუენცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა“.

წყარო 7

„... 574 წლისათვის საქართველოში მონოფიზიტობას სიმტკიცე უკვე შერყეული უჩანს და ქალკედონიანობას (დიოფიზიტობას) ქართულ საეკლესიო წრეებში თანაგრძნობა უკვე მოპოვებული ჰქონია. ასურელ მამათა მოღვაწეობის ფაქტი სწორედ ქალკედონიანობის საქართველოში ამ გამარჯვების გავებას გვიაღვივებს. როგორც ასურელ ბერებს ქალკედონიანობის თავიანთი რწმენის გაბატონებისათვის სამშობლო მიუტოვებიათ და ალბანეთში მისულან საქადაგოდ, ისევე მომხდარა საქართველოშიც და ასურელი მამები მოსულან. შინაგანმა სარწმუნოებრივმა ბრძოლამ, ასურელ მამათა ენერგიულმა მოღვაწეობამ, ბიზანტიისაკენ ცხადად გადასრილი პოლიტიკური ორიენტაციის მძლავრმა გავლენამაც ქალკედონიანობას საქართველოში მონოფიზიტობაზე გამარჯვება შეაძლებინა“.



სურ. 2.2.3.1. ქალკედონის ტაძარი.

ივ. ჯავახიშვილი.

დავალება 3

წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით იმსჯელე ქართული ეკლესიის სარწმუნოებრივი და პოლიტიკური პოზიციების ურთიერთმიმართებაზე.

რელიგიურმა განხეთქილებამ ქართველ და სომეხ სამღვდლოებას შორის მწვავე დისკუსიას მისცა ბიძგი. ორივე მხარე ერთნაირი მონდომებით ცდილობდა საეკლესიო ერთობის მიღწევას, მაგრამ ყოველი ასეთი მცდელობა ურთიერთბრალდებების წამოყენებით სრულდებოდა.

ქართლის კათალიკოსი არსენი ბრალს სდებდა სომხეთის სამღვდლოებას პოლიტიკური მოსაზრებით – სპარსეთის შიშითა და მისი მოკავშირეობის სურვილით, დიოფიზიტური მრწამსისაგან გადახვევაში.

წყარო 6


არსენ კათალიკოსის ცნობით, შაჰმა ხოსრო I-მა სომხებს მოსთხოვა „ერთი ორთაგან გამოირჩიეთ – ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება (მონოფიზიტობა) ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა და დატოვეთ სპარსეთის იმპერიის საზღვრებიო. სომხები ძალიან შეწუხდნენ, მათ არც სარწმუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება...“. საბოლოოდ მათ მაინც სპარსეთის წინაშე დათმობა არჩიეს და გადაწყვიტეს – „... უმჯობესია ჩვენი სიკვდილი, ვიდრე ამჟამად ბერძენთაღმ მიბრუნება, ქვეყნიდან მეორედ აყრა-გადასახლება და ჩვენი ამოწყვეტა სიღარიბეშიო...“.

საპასუხო წერილში სომეხთა კათალიკოსი აბრაამი ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან განდგომილად ქართულ მხარეს ასახელებდა.

წყარო 7

„თქვენ ახლა რომ ქადილით მოგვწერეთ ჩვენ – ჩვენსა და თქვენ მამებს წმინდა გრიგოლმა იერუსალიმის სარწმუნოება მისცა და ჩვენ იგივე გვაქვსო, აბა კარგად გამოიძიეთ და ნახეთ, რომ თქვენც და სხვებიც მრავალნი, წმინდა ქალაქის (იერუსალიმის) მკვიდრებთან ერთად, შეიცვალეთ მისგან, არა თუ იგივე გაქვთ, ხოლო ჩვენ ეხლაც იერუსალიმის სარწმუნოება გვაქვს“.

სურ. 2.2.3.3. ემიაძინი, სომხეთის საეკლესიო ცენტრი.



დამოუკიდებელი სამუშაო

1. იმსჯელე ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების მოსალოდნელ პოლიტიკურ შედეგებზე.
2. ისაუბრე ტოლერანტობის, კომპრომისის მნიშვნელობაზე რელიგიური განხეთქილების დროს.

განმარტებები

კონფესია – გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის აღმსარებლობის თავისებურება.

ტოლერანტობა – სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა.

კომპრომისი – ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება.

§ 4. ქართლის სამეფო VI საუკუნეში

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე მისი ძე დაჩი ადის. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით:

წყარო 1

„ამან დაჩი მეფემან იყო შენებად ქართლისა, სამეფო მოღსრებულ იყვნეს ხევნი ქართლისანი, თუნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულა ზღუდენი თბილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სასლად სამეფოდ“.

ამავე პერიოდში სამეფო კარზე მწვავედ პოლიტიკური ორიანტაციის საკითხი, რაც სახელმწიფოში გარკვეული განხეთქილების საფუძველი ხდება.

წყარო 2

„მიერთვან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმონებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგეს მორჩილებასა ბერძენთასა“.

„ქართლის ცხოვრება“.

სპარსეთის წინააღმდეგ აქტიური პოზიცია დაიკავა მეფე გურგენმა. ბიზანტიისგან დახმარებით დაიმედებულმა მეფემ 523 წელს სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო.

წყარო 3

„იმპერატორმა... პეტრე სტრატეგოსი გაგზავნა რამდენიმე ჰუნითურთ რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს კავადმაც (ირანის შაჰი) დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ... გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია, სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების (ბიზანტიელების) გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმარისი არ იყო, ლაზიკაში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები... ლაზიკის საზღვრებში რომ მოვიდნენ, აქ



სურ. 2.2.4.2. იმპერატორი იუსტინიანე.

გაჩერდნენ და ძნელად გადასასვლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელადგასასვლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიონში ჩავიდნენ“.

პროკოპი კესარიელი.

სპარსეთმა აჯანყების მარცხით ისარგებლა და ქართლში სამეფო ხელისუფლება გააუქმა. ამიერიდან ქართლს მართავს მარზპანი – ირანელი მოხელე, რომელსაც სრული ძალაუფლება უპყრია ხელთ.

წყარო 4

გაქრისტიანებულ სპარსს, ევსტატს, მცხეთელი მოგვები შეიპყრობენ და განსასჯელად მცხეთის სპარსელ ციხისთავს მიუყვანენ. ციხისთავი ასე მიმართავს მათ: „ამის კაცისა პატიჯი მე არარა ხელმეწიფების, არცა პყრობილება, არამედ წარუძღუნო ეგე ტფილისს ქალაქსა, ქართლისა მარზპანსა... რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ხელ-ეწიფების სიკუდილი და ცხორება“.

„ევსტატი მცხეთელის მარტვილობა“.

დავალება 1

1. წყარო 3-ის მიხედვით იმსჯელე ქართლის აჯანყების დამარცხების მიზეზებზე.
2. იმსჯელე ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შედეგებზე.
3. წყარო 4-ის მიხედვით დაახსიათე მარზპანის ხელისუფლება.

ბიზანტიაში გადახვეწილი გურგენი ცდილობს, დახმარება იმპერატორისგან მიიღოს. მისი მიზანია ქართლში სამეფო ხელისუფლების აღდგენა და ქვეყნის განთავისუფლება სპარსელების ბატონობისგან, მაგრამ მალე, 532 წელს, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ე.წ. „საუკუნო ზავი“ დაიდო.

წყარო 5

„შეთანხმდნენ ერთმანეთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში ერთმანეთს წაართვეს... რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე (მდინარეების: ჭოროხისა და არაქსის სათავეებთან მდებარე სიმაგრეები), ხოლო სპარსელებმა რომაელებს – ლაზიკის სიმაგრეები“.

პროკოპი კესარიელი.

ზავი მეტბოლ მხარეთაგან სრულად არც ერთს არ აკმაყოფილებდა და მიღწეული შეთანხმებაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დროებითი აღმოჩნდა.

დავალება 2

იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზავს ბიზანტია-ირანისა და საქართველოსთვის.

ეს საინტერესოა:

„სასანიდების იმპერია ადმინისტრაციული თვალსაზრისით ოთხ მხარედ იყო დაყოფილი, რომელთაც სპარსულად ქუსტები ან ქუსტაკები ეწოდებოდა... ეს კუსტაკები, თავის მხრივ, ცალკეულ ქვეყნებად ნაწილდებოდა. კავკასიის კუსტაკი 13 ასეთი ქვეყნისგან შედგებოდა, რომელთა შორის პირველი იყო ატროპატაკანი (აზერბაიჯანი), მეორე – არმნი (სომხეთი), მესამე – ვარჯანი (ქართლი), მეოთხე – რანი (ალვანეთი)... და ა.შ. თითოეულს, როგორც წესი, „მარზპანი“ (მხარის უფროსი) მართავდა“.

დ. მუსხელიშვილი.

ამ დროისათვის ირანში ჯერ კიდევ მძვინვარებდა მაზდაკიდების აჯანყება. მისი სულისჩამდგმელი იყო ვინმე მაზდაკი, რომელიც ქადაგებდა ადამიანთა შორის გაბატონებული სიძულვილისა და მტრობის მოსპობას, რაც სიკეთითა და შემწყნარებლობით უნდა შეცვლილიყო. მაზდაკის აზრით, სიძულვილსა და ურთიერთმტრობას იწვევდა მატერიალური უთანაბრობა, სიმდიდრისა და სიღატაკის გვერდიგვერდ არსებობა. მაზდაკი მოითხოვდა ქონების გათანაწილებას, აგრეთვე, ქალის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მისთვის საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლების მინიჭებას. მაზდაკის მოძღვრება მალე გავრცელდა მოსახლეობის დაბალ ფენებში და მძლავრ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულები არბევდნენ წარჩინებულთა სახლებს, იტაცებდნენ მათ ქონებას... საბოლოო ჯამში, აჯანყება მარცხით დასრულდა. მაზდაკი და მისი მრავალი მიმდევარი კი სიკვდილით იქნენ დასჯილნი.

დავალება 3

1. იმსჯელე მაზდაკის მოძრაობის გამომწვევ მიზეზებზე.
2. შეაფასე მაზდაკის მოძღვრების სოციალური შინაარსი.

VI საუკუნის ბოლოსათვის სპარსეთის ძალაუფლება ქართლში თანდათან სუსტდება:



წყარო 6

„იქმნეს შფოთი დიდი სპარსეთს შინა“.

„ესრეთ რა უცალო იქნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან ქართლისათა და რათა იყვნეს ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთავოსა შეუცვლელად. მაშინ კეისარმან აღასრულა, თხოვნა მათი, და მოსცა მეფედ... რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს... ამას გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“.

სურ. 2.2.4.3. ბიზანტია და სპარსეთი.

„ქართლის ცხოვრება“.

სხვა წყაროები გუარამსა და მის მემკვიდრეებს მეფეებად არ მოიხსენიებენ.

წყარო 7

„შეკრბა ქართლი განაჩინეს ერისთავად გუარამ დიდი. ესე იყო პირველი ერისთავი“.

„მოქცევაი ქართლისაი“.

„მთავრობდა გურგენი (გუარამის მომდევნო ხელისუფალი), ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“.

თეოფანე ბიზანტიელი, VI საუკუნის ისტორიკოსი.

კითხვები

1. რა პირობას უყენებენ ერისთავები ბიზანტიის იმპერატორს?
2. როგორ ფიქრობ, რატომ დათანხმდა იმპერატორი ერისთავების მოთხოვნებს?
3. როგორ ფიქრობ, გუარამისა და მისი მემკვიდრეების ხელისუფლება მეფისას შეესაბამება თუ ერისთავთ-ერისთავისას, ანუ „ერისმთავრისას“?
4. რით განსხვავდება მეფისა და ერისმთავრის ხელისუფლება ერთმანეთისგან?

დავალბა 4

წყაროს საფუძველზე იმსჯელე ქართლის მმართველობით ხასიათზე; მიიჩნევ თუ არა მას სრულყოფილად? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

ქართლი განსაკუთრებით გაძლიერებული ჩანს სტეფანოზ I-ის მმართველობისას (დაახლ. 593–604 წწ.). მისი ხელისუფლება მთლიანად მოიცავს სპარსელთა პოლიტიკური გავლენისაგან სრულად განთავისუფლებულ აღმოსავლეთ საქართველოს.

წყარო 8

„... სპარსეთში ბიზანტიელთა წყალობით გამეფებული ზოსრო II კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ქმნის ქრისტიანთა მიმართ და ქრისტიანობა იქ მასხდინიზმს უპირისპირდება. მეორე მხრივ ბიზანტია, რომელიც დიდი ხანია იბრძოდა ქართლის დასაუფლებლად, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ქართლის სიძლიერით თავისი ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიის და, კერძოდ, ლაზიკის უსაფრთხოებისათვის, რომლის მიმართ ირანის პრეტენზიები, რა თქმა უნდა, ბიზანტიის სამეფო კარს კარგად ახსოვდა. ასეთი პოლიტიკური ვითარება ქართლისათვის, მისი კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისათვის, ფრიად ხელსაყრელი იყო და ეს არ შეიძლებოდა არ გამოეყენებინა მის გამგებელს“.

დ. მუსხელიშვილი

დამოუკიდებელი სამუშაო

იმსჯელე იმ საგარეო ფაქტორების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქართლის კულტურულ და პოლიტიკურ აღმავლობას.

§ 5. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო IV-VI საუკუნეებში

IV-V საუკუნეების ბიზანტიური წყაროები კოლხეთს ეგრისად მოიხსენიებდნენ – „კოლხეთი არის იგივე ეგრისი...“. მას ასევე ლაზიკასაც უწოდებდნენ.

წყარო 1

„აფშილები და აბაზგები... ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან...“.

პროკოპი კესარიელი.

„არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომები არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება“.


მენანდე პროტიქტორი, ბიზანტიელი ისტორიკოსი.

კითხვები

1. რა სახის გაერთიანებად წარმოგვიდგება ლაზიკა?
2. გარდა ჩამოთვლილისა, შენი აზრით, კიდევ რომელ ქართველურ ტომებსა და კუთხეებს მოიცავდა ლაზთა სამეფო?

ეს საინტერესოა:

ეგრისი სიტყვა „ეგრიდან“, იგივე „მეგრიდან“, მომდინარეობს და აღნიშნავს „მეგრთა“ ე. ი. მეგრულთა სახელმწიფოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეგრისის სამეფო, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ქართველური ტომებისაგან შედგებოდა, მეგრული მოდემის ტომთა ჰეგემონობით შეიქმნა და შემდეგშიაც, ისინი ამ სახელმწიფოში წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ლაზებს, ისინი მეგრელებისგან ეთნიკურ-ტომობრივად თითქმის არც განირჩეოდნენ.




სურ. 2.2.5.1. ლაზიკის დროშა.

ეგრისის გაძლიერებას იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაც უწყობდა ხელს. რომის იმპერია IV საუკუნის II ნახევრიდან ახლო აღმოსავლეთში თანდათან თმობს პოზიციებს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძლიერდება ირანის პოლიტიკური გავლენა. სპარსეთი ახლა უკვე შავიზღვისპირეთშიც გეგმავს გაბატონებას, რაც რეგიონიდან რომის იმპერიის გაძევების ტოლფასი იქნებოდა.

იმ ვითარებაში, როდესაც რომს აღარ ძალუძს დაიცვას თავისი მოკავშირეები „სპარსული საფრთხისაგან“, ძალაუნებურად თანხმდება მოკავშირეების გაძლიერებას, იმ პირობით, რომ ისინი იმპერიასთან „მეგობრულ“ ურთიერთობას შეინარჩუნებდნენ.

ლაზიკის მიმართ საკუთარი ინტერესი ჰქონდა სპარსეთსაც. შაჰი კარგად აცნობიერებდა, რომ ეგრისში გაბატონებაზე: „იქნებოდა დამოკიდებული, რომ მოსახლვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით (ეუბნებიან შაჰს მრჩეველები), – რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების საფარს წარმოადგენს... აგრეთვე, ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისგანაც სპარსთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა... კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი...“ (პროკოპი კესარიელი). ლაზიკა სხვა მხრივაც იყო უცხოთათვის მიმზიდველი:



სურ. 2.2.5.2. ლაზიკა.

წყარო 2

„პური მათ (სვანებს) კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ...“.

„(ლაზიკა) შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს... ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს...“.

„(ლაზები) მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას...“.

პროკოპი კესარიელი.

„სვანების სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრის ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც...“.

მენანდრე პროტიქტორი.

დავლება 1

1. იმსჯელე იმ პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწვევს ლაზიკის სამეფოს გაძლიერებას.
2. ტექსტისა და წყარო 2-ის მიხედვით რა ფაქტორებმა განაპირობა რომისა და სპარსეთის დაინტერესება ლაზიკის სამეფოთი?

ლაზიკა კულტურულადაც დაწინაურებული ქვეყანაა. მისი დედაქალაქია ციხე-გოჯი, იგივე არქეოპოლისი.



სურ. 2.2.5.3. ციხე-გოჯი.

წყარო 3

„არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა ქალაქის გრანდიოზული საფორტიფიკაციო (სამხედრო-თავდაცვითი) სისტემა, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე – ორი აბანოს შენობა, რომელთაგან ერთი, თავისი გეგმარების სირთულით, დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით, გამოირჩევა ყველა მსგავსი ამავდროინდელი ნაგებობისაგან საქართველოს ტერიტორიაზე... ქალაქის ქვედა ტერიტორიაზე განლაგებული იყო სასახლე, სამეურნეო ნაგებობანი და IV-V საუკუნეების უძველესი ეკლესიები. არქეოლოგიური მასალა, რომელიც შეიცავს ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს (ჭურჭელი, კრამიტები), მინის ნაკეთობებს

(ჭურჭელი, ფანჯრის მინები), რკინის იარაღის (ისრის წვერები, ჯავშნის ფირფიტები, დანები) და იმპორტული მასალაც, აშკარად მოწმობს, რომ IV-V საუკუნეების ციხე-გოჯი წარმოადგენს მსხვილ ქალაქურ დასახლებას, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, საეკლესიო და საეკონომიკურ-სახელოსნო ცენტრს“.

დ. მუსხელიშვილი.

დავლება 2

გაიხსენე დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქები; წყარო 3-ის მიხედვით დაახასიათე ძველი ქალაქი – ჩამოთვალე მთავარი ნაგებობები, აღწერე მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა.

როგორც ვიცით, 523 წლის აჯანყებას ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმება და სპარსეთის უშუალო მმართველობის დამყარება მოჰყვა. სპარსეთი ახლა უკვე დაუფარავად აცხადებდა პრეტენზიებს დასავლეთ საქართველოზეც.

ბიზანტიამ, ლაზიკის შესანარჩუნებლად, გაზარდა იქ თავისი ლაშქრის რაოდენობა და სტრატეგოსების ძალაუფლება, რასაც ეგრისის მეფეთა ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებაც მოჰყვა.

შევიწროებული ლაზები ბიზანტიის მიმართ მხარდაჭერას სულ უფრო ნაკლებად ამჟღავნებდნენ. ისინი სპარსეთ-ბიზანტიის დაპირისპირების პროცესში თითქოს განზე გადგნენ და ბიზანტიელებს სამხედრო მხარდაჭერას არ უცხადებდნენ.

წყარო 4

„მეფემ გადაწყვიტა გაეზავნა ჯარი და სარდალი ირენე. იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწა. წყალზე ორი სიმაგრეა, რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა... იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეუძლებელია მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ... (ბიზანტიის იმპერატორმა უნდობლობის გამო) გამოიყვანა იქიდან ეს მცველები და რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ. თავდაპირველად მათ ლაზები აწოდებდნენ ძლივს-ძლიობით საჭირო სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და რომაელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს; ისინი ხელთ იგდეს სპარსელებმა სრულიად გაურჯელად...“.

პროკოპი კესარიელი.

საფრთხის მოახლოებასთან ერთად, ბიზანტია სულ უფრო მეტად ერევა ეგრისის საშინაო საქმეებში და VI საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად იქვემდებარებს კიდევ მას.